ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტის ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ

13 ნოემბერი, სამშაბათი, 1990 წ.
№ 217 (10386) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ქართველ ძიუდოისტთა ბრწყინვალე წარმატება

პარიზი. აქ დამთავრდა ძიუდოისტთა დიდი ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ოლიმპიური თამაშების, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონატების პრიზიორები. ეს შეჯიბრება ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ რეგისტრირებულია როგორც უმაღლესი კატეგორიის ტურნირი და „გრან პრის“ სერიაშია შეტანილი. მიმომხილველთა აზრით, იაპონიისა და სამხრეთ კორეის სპორტსმენთა არყოფნას შეჯიბრების ხარისხზე გავლენა არ მოუხდენია, ვინაიდან საფრანგეთის დედაქალაქში ყველა ქვეყანამ უძლიერესი ძიუდოისტები ჩაიყვანა.

წარმატებით იასპარეზეს საბჭოთა ათლეტებმა, რომელთა შორის საკმაოდ იყვნენ ქართველი ძიუდოისტები. ასე მაგალითად, 71 კგ წონითი კატეგორიის ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ სოხუმელი ვლადიმერ დგებუაძე და პოლონელი ვესლავ ბლახი. ჩვენი თანამემამულე აშკარად სჯობდა მეტოქეს და დამსახურებულად გახდა ოქროს მედლის მფლობელი.

ასევე დამაჯერებელი გამარჯვება

ხვდა ბედმე წონაში ჭუთაისელ დავით ხუციანაშვილს. ფრანგმა ჯატრიკ ვინიონმა ვერაფერი გააწყო მასზე აშკარად ძლიერ ქართველ მოჭიდაკეესთან.

60 კგ წონით კატეგორიაში კახი ქურასბედიანმა ფინალური შეხვედრა წააგო გერმანელ რიჰარდ ტრაუტმანთან და მეორე ადგილი დაიკავა. ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრეს გურამ მოდებაძემ (65 კგ) და დავით ბაგაურმა (86 კგ).

საბჭოთა ნაკრებს კიდევ ერთი უმთავრესი ჯილდო მოუტანა გროზნოელმა ბაშირ ვარაევმა, რომელმაც ფინალურ ორთაბრძოლაში გერმანელ მარკ შპიტკეს (78 კგ) აჯობა.

აღნიშნულ სპორტსმენთა გარდა პრიზიორთა შორის მოხვდნენ: ბულგარეთის, ბელგიის, დიდი ბრიტანეთის, ესპანეთისა და რუმინეთის წარმომადგენლები.

ლია წერილი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრებს

გაკვირვებული და გაოცებული ვართ იმ თანხმობით, რომელიც თქვენ მიგიციათ უნივერსიტეტში ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლებასთან დაკავშირებით.

რესპუბლიკაში და მის ფარგლებს გარეთ ცნობილი მდიდარი სპორტული ტრადიციების მქონე უმაღლესი სასწავლებლის დღევანდელი ადმინისტრაციის მიერ სტუდენტთა ფიზიკური აღზრდისადმი ასეთი დაშოკიდებულება ჩვენი აზრით არაფრით არაა გამართლებული.

დღეს, როდესაც რესპუბლიკა ყველა სფეროში საკავშირო დიქტატისაგან განთავისუფლებისათვის იბრძვის და მსოფლიო სტანდარტების მოთხოვნათა შესაბამისად საეციალისტთა მომზადებისაკენ მიიღტვის, განა შეიძლება სტუდენტთა ყოველმხრივი ჰარმონიული მომზადების უგულვებელყოფა? ვისგან ვიღებთ მაგალითს? ნუთუ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს წევრებისათვის ცნობილი არაა ჩვენი დღევანდელი სტუდენტი ახალგაზრდობის ჯანმრთელობის მდგომარეობა, დაქვეითებული ფიზიკური უნარიანობა, რომლის ნაწილობრივი კონპენსაციისათვის სრულებითაც არაა საკმარისი ფიზიკური აღზრდისათვის გამოყოფილი კვირაში 2 მეცადინეობა, რომლის შემცირებაც მოითხოვეთ. ნუთუ ამ საათების ხარჯზე გაიზრდება სტუდენტთა პროფესიული მომზადების დონე, მათი სამეცნიერო პოტენციალი?

გადახედეთ მოწინავე ცივილიზებული ქვეყნების მოსწავლე და სტუდენტი ახალგაზრდობის სწავლების პროცესს, რაოდენ დიდი ადგილი უკავია მასში ფიზიკურ აღზრდას, ფიზიკურ კულტურას.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ შორს არ არის ის დრო, როცა ჩვენი ახალარჩეული ეროვნული პარლამენტი შეისწავლის ჩვენი სტუდენტი და მოსწავლე ახალგაზრდობის ჯანმრთელების მდგომარეობას, მათი ფიზიკური წრთობის საკითხებს, მიიღებს შესაბამის კანონებს, რომლის ხელყოფის უფლება აღარავის ექნება. მანამდე კი ჩვენ იმედი გვაქვს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭო დაუბრუნდება და გადასინჯავს თავის გადაწყვეტილებას, აღადგენს სამართლიანობას და სათანადო ადგილს დაუთმობს ფიზიკურ აღზრდას უნივერსიტეტში სტუდენტთა სწავლების მთელ პერიოდში.

პატივისცემით, თქვენი უმცროსი კოლეგები, გორის ეკონომიკური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის წევრები:

გ. ხაჩიძე — დოცენტი, კათედრის გამგე, საქართველოს ეროვნულ ოლიმპიური კომიტეტის წევრი, რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი;

გ. პაპიტაშვილი—უფროსი მასწავლებელი, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წევრი, საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელი;

ა. იაშვილი — დოცენტი;

გ. ძიძიგური — უფროსი მასწავლებელი, რესპუბლიკის ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი;

ს. ვაშაკიძე, ზ. ეთრემიძე, ს. გორცვაძე — უფროსი მასწავლებლები;

ს. ქველიძე, გ. კოგბერიძე, ი. თოდაძე, გ. ხურამელი — მასწავლებლები.

1990 წლის 12 ნოემბერი.

საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

უმაღლესი ლიგა

გუშინ 12 ნოემბერს გაიმართა რესპუბლიკის საფეხბურთო ჩემპიონატის ბოლო, 34-ე ტურის შეხვედრები უმაღლესი ჯგუფის გუნდებს შორის.

„სამგურალი“ (წყალტუბო) — „მზიური“ (გალი) 5:3

„იბერია“ (თბილისი) — „ივერია“ (ხაშური) 1:0

„ბათუმი“ (ბათუმი) — „კოლხეთი-1913“ (ფოთი) 1:0

„გურია“ (ლანჩხუთი) — „გორდა“ (რუსთავი) 1:0

„სანავარდო“ (სამტრედია) — „დილა“ (გორი) 3:1

„ცხუმი“ (სოხუმი) — „ოდიში“ (ზუგდიდი) 1:1

„კოლხეთი“ (ხობი) — „შევარდენი-1906“ (თბილისი) 2:0

ქუთაისის „ქუთაისისა“ და ოჩამჩირის „ამირანის“ მატჩი არ გაიმართა.

ლეილა მესხს— მეორე პრიზი

სეზონის მიწურულს ჩოგბურთელთა საერთაშორისო ცხოვრება ტრადიციულად პიკს აღწევს. მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ტარდება საინტერესო ტურნირები, რომლებიც საბოლოოდ აყალიბებენ ჩოგბურთელთა საერთაშორისო რეიტინგებს.

ინდიანაპოლისი. ლეილა მესხმა დამაჯერებელ გამარჯვებათა სერიებით გაინაღდა აშშ-ის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო ტურნირის ფინალში თამაშის უფლება. ნახევარფინალში მან ბულგარელი კატერინა მალეევა დაამარცხა — 6:2, 6:4. მეორე ნახევარფინალში ერთმანეთს შეხვდნენ კიეველი ნატალია მედვედიევა და ესპანელი კონჩიტა მარტინესი. აქ უპირატესობა ესპანელის მხარეს იყო — 7:5, 6:0. ფინალში მესხისა და მარტინესის შეხვედრა ამ უკანასკნელის გამარჯვებით დამთავრდა — 6:4, 6:2.

უორჩესტერი (აშშ). „ვირჯინია სლიმზის“ სერიის ტურნირის ნახევარფინალში გერმანელმა შტეფი გრაფმა დაამარცხა შვეიცარიის წარმომადგენელი მანუელა მალეევა (7:6, 6:7, 6:3) და ფინალში გავიდა, სადაც შეხვდა გაბრიელა საბატინის (არგენტინა) და ისიც დაამარცხა— 7:6, 6:3.

რომი. იტალიაში გაიმართა ჩოგბურთელ ვაჟთა „დიდი ოთხეულის“ საჩვენებელი ტურნირი. ივან ლენდლმა (ჩეხოსლოვაკია) დაამარცხა მსოფლიოს პირველი ჩოგანი შვედი სტეფან ედბერგი (5:7, 7:6, 7:6) და პირველი ადგილი დაიკავა. მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ამერიკელმა ჯონ მაკინროუმ აჯობა თანამემამულე ანდრე აგასის — 6:3, 6:1.

იტაპარიკა (ბრაზილია). ტურნირში, რომლის საპრიზო ფონდი 250 ათას დოლარს შეადგენდა, გაიმარჯვა შვედმა მათს ვილანდერმა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში ურუგვაელ მარსელო ფილიპინის მოუგო — 6:1, 6:2. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ წარსულში მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ჩოგბურთელი ვილანდერი ნელ-ნელა სპორტულ ფორმას იბრუნებს.

ლონდონი. „უემბლის“ დახურულ კორტზე საინტერესო ტურნირი მიმდინარეობს. ამერიელმა მაიკლ ჩანგმა ნახევარფინალში შვედ კრისტიან ბერგსტრიომს აჯობა და ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. მეორე ნახევარფინალში შვეიცარიელმა იაკობ ჰლასეკმა იტალიელი დიეგო ნაგრისო დაამარცხა—7:6, 6:2.

მოსკოვი. „კრემლის თასი“ მოიგო უფლმა ანდრეი ჩერკასოვმა, რომელმაც ფინალში ამერიკელ ტიმ მაიოტს აჯობა — 6:2, 6:1. ამ გამარჯვებამ ახალგაზრა ჩოგბურთელს 42.800 დოლარი მოუტანა.

სიურპრიზებით დაიწყო

გუდაპეშტი. ძალოსანთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატი სიურპრიზებით დაიწყო. 56 კგ წონაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ბულგარელმა სეგდალინ მარინოვმა მეოთხე ადგილი დაიკავა. ამას გარდა, შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულმა ბაქოელმა ხაფიზ სულეიმანოვმა, რომელიც ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ათენში დარჩა და საბოლოოდ საცხოვრებლად თურქეთში გადავიდა, მეორე მოძრაობაში საწყისი წონა ვერ დასძლია და ბრძოლას გამოეთიშა. ამჯერად იგი შეცვლილი გვარით ასპარეზობდა (სულეიმანოღლუ).

ოქროს მედალი კი ჩინელ ლიუ შოუბინს ხვდა, რომელმაც ორჯიდში დააგროვა 285 კგ, იმდენი, რამდენიც მისმა თანამემამულემ ხე ინცზიანმა, მაგრამ უფრო მსუბუქი აღმოჩნდა. ბრინჯაო სამხრეთკორეელ ჩუნ ბენ ხვანს ხვდა — 277,5 კგ.

საბჭოთა ძალოსნები პირველ სამ წონაში არ ასპარეზობდნენ.

60 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ბულგარელი ნიკოლაი პეშალოვი — 297,5 კგ.

დაგვეთანხმებით, გახშირდა სპორტული ცეკვების კონკურსები თბილისში. ეს დღეებია, ვიხილეთ ერთი ასეთი საერთაშორისო კონკურსიც — „ოქროს საწყისი-90“, რომლის ამსახველ ხურათებსაც დღეს გთავაზობთ.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ვისთვის ემეტებათ, ვისთვის არა

ბევრი არა მქონია, დანანებით ჩაილაპარაკა ალბათ თბილისელმა მოკრივემ რუდიკ კაზანჯიანმა, საქმე ის გახლავთ, რომ ინდოეთის ქალაქ ბომბეიში სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის გადაწყვეტილებით დაიწყო შეჯიბრება მსოფლიო თასზე სამ (48, 57 და 63,5 კგ) წონით კატეგორიაში. საბჭოთა კავშირიდან ერთადერთს აქ უნდა ეასპარეზა რუდიკ კაზანჯიანს (48 კგ), რომელიც ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორს, უნგრელ რობერტ იშასეგის უნდა შეხვედროდა. მაგრამ... საკავშირო სპორტსახკომს ფული არა აქვსო, უთხრეს თბილისელ სპორტსმენს და იგი ინდოეთში ვერ გაუშვეს. ჩვენის მხრივ დავძენთ: ამ დღეებში საბჭოთა კავშირიდან არაერთი მოკრივე ასპარეზობს უცხოეთში, თანაც არც ისე პრესტიჟულ, არაოფიციალურ ტურნირებზე და, რაღა მსოფლიო თასზე მიწვეული ერთი თბილისელი სპორტსმენისთვის არ გამოიძებნა საჭირო სახსრები?

სიურპრიზებით დაიწყო

გუდაპეშტი. ძალოსანთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატი სიურპრიზებით დაიწყო. 56 კგ წონაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ბულგარელმა სეგდალინ მარინოვმა მეოთხე ადგილი დაიკავა. ამას გარდა, შარშანდელ ტურნირში გამარჯვებულმა ბაქოელმა ხაფიზ სულეიმანოვმა, რომელიც ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ ათენში დარჩა და საბოლოოდ საცხოვრებლად თურქეთში გადავიდა, მეორე მოძრაობაში საწყისი წონა ვერ დასძლია და ბრძოლას გამოეთიშა. ამჯერად იგი შეცვლილი გვარით ასპარეზობდა (სულეიმანოღლუ).

ოქროს მედალი კი ჩინელ ლიუ შოუბინს ხვდა, რომელმაც ორჯიდში დააგროვა 285 კგ, იმდენი, რამდენიც მისმა თანამემამულემ ხე ინცზიანმა, მაგრამ უფრო მსუბუქი აღმოჩნდა. ბრინჯაო სამხრეთკორეელ ჩუნ ბენ ხვანს ხვდა — 277,5 კგ.

საბჭოთა ძალოსნები პირველ სამ წონაში არ ასპარეზობდნენ.

60 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა ბულგარელი ნიკოლაი პეშალოვი — 297,5 კგ.

საკავშირო კატეგორიის მსაჯის წოდება მიენიჭათ:

ვალოსპორტში — ვლადიმერ სიდანოვს (თბილისი, „შევარდენი“), თამაზ წერეთელაშვილს (თბილისი, „დინამო“);

წყალბურთში — ნიკოლოზ სტაშევსკის (თბილისი, დოსაფი).

„ასმეერთედ დავუბრუნდები...“

ყველა პედაგოგს ნიჭიერი, პერსპექტიული მოზარდების შერჩევის თავისებური მეთოდი აქვს. საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მხატვრულ ტანვარჯიშში — ლუბა სერგოვანცევაც არ იყო ამ მხრივ გამონაკლისი. იგი ხშირად ჩამოივლიდა თბილისის სკოლებს და დაწყებით კლასებში პირდაპირ ფიზკულტურის. გაკვეთილზე შეაღებდა დარბაზის კარებს, რათა სასურველი შეგირდები „მოეზელთებინა“— გამხდრები, ლამაზები, მოქნილები— ისეთები, მხატვრულ ტანვარჯიშში რომ ივარგებდნენ და ამ გოგონებით ავსებდა იმ ვაკანსიებს, სატანვარჯიშო სკოლაში რომ ჩნდებოდა ხშირად, რადგან ცნობილია, ყველა მოზარდი, მით უმეტეს გოგონა, თავისი ნებით როდი ეხტუმრება ხოლმე სპორტულ დარბაზებსა და სტადიონებს.

ლუბა სერგოვანცევას მორიგი ვიზიტი თბილისის 43-ე სკოლაში. ორი მოზარდი დაითანხმა შეგირდობაზე, მეტის შერჩევას არც აპირებდა, მაგრამ საკლასო ოთახიდან გამოსვლისას კარის კუთხეში მდგარ მერხთან მჯდომი შავთვალება, ცქრიალა გოგონა შენიშნა. მესამედ სცადა ბედი ლუბა მასწავლებელმა:

— არ გინდა, შენც „მხატვრული გოგონა“ იყო?

გოგონამ მორცხვად დაუქნია თავი, რადგან სტუმრის ნათქვამი პირდაპირ გაიგო, ეგონა, სამხატვრო სკოლაში ეპატიჟებოდნენ, ფერწერა კი მისი. გატაცება იყო.

მეორე დღესვე ეწვია ელისო ბედოშვილი ლუბა სერგოვანცევას და მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ახალგაცნობილი პედაგოგის სამყოფელში — სპორტულ დარბაზში ფუნჯების, პალიტრისა და ბავშვური ხელით შესრულებული ნახატების ნაცვლად სახტუნელა, ბურთები, ფერად-ფერადი რგოლები და უზარმაზარი ცისფერი ხალიჩა დახვდა. მაგრამ, რაკი ერთხელ შედგა ფეხი ტანვარჯიშის დარბაზში... მალე გაითავისა სილამაზის, სინატიფის და ჰარმონიულობის ეს იშვიათი ნაზავი — მხატვრული ტანვარჯიში და დღეს, უკვე სახელმოხვეჭილი სპორტსმენი, მსოფლიო თასის მფლობელი ელისო ბედოშვილი სიამოვნებით იგონებს თავის პირველ ნაბიჯებს დიდ სპორტში. თუმცა სხვებისგან განსხვავებით მას ძალზე გვიან ეწვია წარმატებები.

● ელისო, 19 წელი მხატვრულ ტანმოვარჯიშისთვის სპორტული კარიერის დასახრულს მოასწავებს, შენ კი ამ ასაკში მიაღწიე ყველაზე დიდ წარმატებებს.

— უნიჭო სპორტსმენად არ ვითვლებოდი, მაგრამ დიდი გამარჯვებებით ვერ დავიკვეხნიდი. მწვრთნელები მოთმინებით ელოდნენ, როდის „გავიხსნებოდი“, როდის გამოვამჟღავნებდი ჩემს შესაძლებლობებს, ისე კი, ჩემი სჯეროდათ მათ— ლუბა სერგოვანცევასა და ნელი სალაძეს. 1984 წელს საქართველოს ახალგაზრდულ ჩემპიონატში გავიმარჯვე, აბსოლუტური ჩემპიონი გავხდი და თანაც თინათინ ნადირაშვილსა და ნატო ლეშკაშელს გავუსწარი; შემდეგ იფიქრეს, ეს ალარ ხუმრობსო და საქართველოს ნაკრებში შემიყვანეს. ამ დღიდან მეც სხვაგვარად მოვეკიდე ტანვარჯიშს, ინტენსიურად დავიწყე ვარჯიში, რომ იტყვიან, დარბაზში ვათენ-ვაღამებდი და ალბათ ამ მონდომებას უკავშირდება ჩემი მწვრთნელების ოპტიმიზმი (თავმდაბლობის გამო არ უთქვამს ელისოს, თორემ ნელი სალაძეს მარტო მისი გულმოდგინეობის იმედი როდი ჰქონდა — ვერც მის მოხდენილ სხეულს შელეოდა ალღოიანი პედაგოგი — ფიზიკური სილამაზე ხომ ერთი „დიდი ქულაა“ ნებისმიერი მხატვრული ტანმოვარჯიშისთვის. მოგეხსენებათ, ამ სახეობაში მსაჯთა პირადი სიმპათიები უმნიშვნელო ფაქტორი როდია. ლ. ჯ.). ერთი-ორჯერ კი მაინც გადავწყვიტე თავის დანებება, მაგრამ ნელი ვასწავლებლის ხათრითა და პატივისცემით შემოვრჩი ტანვარჯიშს.

● ამაოდ არ ჩაუვლია ნელი მასწავლებლისადმი შენს პატივისცემას. სულ რაღაც ერთ თვეში ორი დიდი გამარჯვება მოიპოვე, მსოფლიო თასის გათამაშებაში და ევროპის ჩემპიონატზე. ჩვენი შეხვედრაც, ბუნებრივია, ამ წარმატებებმა განაპირობა. იქნებ უფრო დაწვრილებით მოგეთხრო მათზე?

— მსოფლიო თასის გათამაშება ბელგიის დედაქალაქ ბრიუსელში გაიმართა. მე ჯგუფურ ვარჯიშში გამოვედი. როგორც იცით, აბსოლუტური ჩემპიონობა — 3 ოქროს მედალი მოვიპოვეთ და თასიც დავიმსახურეთ. ასპარეზობის პირველსავე დღეს დავწინაურდით და ბოლომდე ვიმარჯვეთ. მსოფლიო თასის მოგება თავისთავად საამაყოა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის ნაკრებს ამ შეჯიბრებაზე ჯერ არ მოუპოვებია 3 უმაღლესი ხარისხის მედალი, თანაც შვიდი წელია, საბჭოთა კავშირის გუნდს არ უჯობნია ბულგარელი სპორტსმენებისთვის, რომლებიც II ადგილზე გავიდნენ; მესამენი ესპანელები იყვნენ; ხეირიანად დასვენებაც ვერ მოვასწარით, რომ კვლავ გამომძიძახეს ნაკრებში. ამჯერად შვეიცარიაში გავემგზავრე, ევროპის პირველობაზე. გეტებორგის ტანვარჯიშის კომპლექსში ევროპის ყველა უძლიერესმა ტანმოვარჯიშემ მოიყარა თავი. ჩვენმა ექვსეულმა აქაც „ბელგიური პროგრამით“ იასპარეზა — ჯგუფური თვისუფალი, 3 ბურთითა და 3 სახტუნელათი და თორმეტი გურზით. წარმატების იმედიც გვქონდა. პირველი დღის შემდეგ 0,05 ქულას ვუგებდით ბულგარეთის გუნდს. მაგრამ სიმფეროპოლელ სვეტლანა სავენკოვას გურზი დაუვარდა და დაგვეწივნენ მთავარი მეტოქეები. თანაბარი ქულები გვქონდა და ამიტომ, დებულების თანახმად, I ადგილი ჩვენ და ბულგარელებს უნდა გაგვეყო, მაგრამ მხატვრული ტანვარჯიშის ევროპის ფედერაციის პრეზიდენტმა ბულგარელმა მარინა შიშკოვამ, რომელიც ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეც იყო, 0,3 ქულა დაგვაკლო სრულიად უმიზეზოდ და თავისიანებს გადაულოცა ოქროს მედლები. მაგრამ 3 ბურთითა და 3 სახტუნელათი ვარჯიშში მაინც დავიმსახურეთ ოქროს მედალი. ამას გარდა თითო ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებიც მოვიპოვეთ.

● რამდენი ხანია, საკავშირო ნაკრებში გამოდიხარ?

— 8 თვეა, რაც ნაკრებში მიმიწვიეს, მანამდე საკავშირო ახალგაზრდული ნაკრების კანდიდატი ვიყავი, მაგრამ წვრთნა არ მაღირსეს. თავდაპირველად გამიკვირდა, როცა „დიდ გუნდში“ გამომძიძახეს, მერაღა გავიგე, თურმე ძველი ექვსეული დაშალეს და სულ ახალბედებით აპირებდნენ მის დაკომპლექტებას. პენზელი იანა ზატულიევტერის გარდა 5 დებიუტანტი ვართ გუნდში, ეტყობა, გავამართლეთ — ზემოჩამოთვლილი მიღწევების გარდა, გავიმარჯვეთ კორეის საერთაშორისო ტურნირში, ხოლო. გერმანიაში ამავე რანგის შეჯიბრებაზე მეორე ადგილი დავიკავეთ.

● მარტო ჯგუფურ ვარჯიშში გამოდიხარ თუ ინდივიდუალური პროგრამითაც სცდი ბედს?

— ადრე ინდივიდუალურ პროგრამასაც ვასრულებდი, ახლა მხოლოდ ჯგუფურში „ვდგევარ“.

● ეს ალბათ აორკეცებს შენს პასუხისმგებლობას დანარჩენი ხუთი „კოლეგის“ წინაშე. შენმა პატარა შეცდომამ ხომ შეიძლება „დალუპოს“ გუნდი?

— ამიტომაც. მიყვარს ჯგუფური ვარჯიში. იგი ძალთა სრულ მობილიზებას, მთელი ყურადღების დაძაბვას მოითხოვს, ხუთი ადამიანის ბედი ხომ ჩემზეა დამოკიდებული და პირაქეთ, ჩემი ბედი თითოეულ მათგანზე. თუ დამიჯერებთ, გეტყვით, რომ ამის წყალობით ცხოვრებაშიც უფრო მეტ პასუხისმგებლობას ვგრძნობ თითოეული ადამიანის წინაშე; ასე რომ, დარბაზში შეძენილ თვისებებს დარბაზშივე როდი ვტოვებთ. ცხოვრებაშიც ხომ ნდობა და ერთმანეთის მოიმედეობაა უმთავრესი.

მაგრამ არის მეორე ფაქტორიც, რომელიც მაიძულებს ყოველთვის ფიზიზლად ვიყო და შეცდომა არ დავუშვა, ეს გახლავთ ის, რომ საქართველოდან ვარ. საკავშირო ნაკრების რუს მწვრთნელებთან, მოგეხსენებათ, ჩვენს სპორტსმენებს ყოველთვის დაძაბული ურთიერთობა აქვთ. მე ნაკრებში ალბათ იმიტომ მიმიწვიეს, რომ ჩემზე უკეთესი „მეექვსე“ ვერ მოძებნეს. აი, გეტებორგში სვეტლანა სავენკოვას კი წარა, მე რომ დამვარდნოდა გურზი, თუნდაც სხვა, უმნიშვნელო შეცდომა დამეშვა, მარცხს სიამონებით გადმომბარალებდნენ და სხვის შეცდომას თვალს დაუხუჭავდნენ.

● უახლოეს მომავალში როდისთვის ველოდოთ ელისო ბედოშვილის ახალ გამარჯვებებს?

— სამწუხაროდ, ბევრს ვერაფერს დაგპირდებით. ალბათ გაისად, ზაფხულში საბერძნეთში, ხმელთაშუა ზღვის თამაშებზე ვიასპარეზებ, შესაძლოა, 1991 წლის სექტემბერში გერმანიაშიც გამოვიდე მსოფლიო ჩემპიონატზე, შემდეგ თავს დავანებებ სპორტს და სწავლას მოვკიდებ ხელს; ამჟამად სტუდენტი ვარ.

● რატომ ანებებ თავს სპორტს— ფიქრობ, რომ სრულად ამოწურე შენი შესაძლებლობები, თუ შენი „ხანდაზმულობის“ — 19 წლის ასაკის გეშინია?

— ჩემი ამჟამინდელი მწვრთნელი ნელი სალაძე მარწმუნებს, რომ სულ ცოტა 3 წლით მაინც შემიძლია შევინარჩუნო ახლანდელი სპორტული ფორმა. „მარაგში“ რომ არაფერი მქონდეს, ნელი მასწავლებელი ამას არ მეტყოდა. იგი არასდროს სცდება და მე რომ დღემდე „მითმინა“ და ბოლომდე სჯეროდა ჩემი, ესეც ზემოთქმულის დასტურია.

● ნელი მასწავლებლის ნათქვამი თეორიული მტკიცებაა იმისა, რომ შენ კიდევ თითოჯერ უნდა მოიპოვო მსოფლიო თასი და ევროპის ჩემპიონობა, იქნებ მსოფლიო ჩემპიონობაც. მეტსაც გეტყვი, საქართველოს სპორტის მესვეურები, ბარსელონის ოლიმპიური თამაშებიდან, თუკი წახვედი იქ, მხოლოდ ოქროს მედლის ჩამოტანას ელიან შენგან.

— შესაძლებელია, მაგრამ მე ვერავინ შემაცვლევინებს გადაწყვეტილებას. ბოდიშს ვუხდი ჩემს გულშემატკივრებს, მაგრამ ეტყობა, ვერ გავუმართლებ იმედებს.

● უახლოეს ხანებში საქართველოს მხატვრულ ტანმოვარჯიშეთა ნაკრებს დამოუკიდებლად რომ მოუწიოს საერთაშორისო ასპარეზზე გასვლა, არც მაშინ დაუბრუნდები ნარბიელს?

— ასჯერ რომ მქონდეს თავი დანებებული, ასმეერთედ დავუბრუნდები ხალიჩას.

ზოგიერთ სპორტსმენს „თავმობეზრებული“ ჰყავს სპორტის მოყვარულები თავიანთი ყოველდღიური გამარჯვებებით — ასეთებს სტაბილურ სპორტსმენებს უწოდებენ. ზოგიერთი ნიჭიერი ახალგაზრდა პირველ წარმატებასთან ერთად ამთავრებს სპორტულ კარიერას რაიმე მიზეზით — მათ უიღბლო სპორტსმენებად მოვიხსენიებთ ხოლმე. აი, ელისო ბედოშვილი კი არც ერთ კატეგორიას არ ეკუთვნის. წარმატებებსაც მიაღწია, სახელოვან გამარჯვებებსაც, ყმაწვილქალობა სპორტს შეალია და მაინც, როცა ახალი ძალებია დასაპყრობი, სწორედ მაშინ ასრულებს თავის სპორტულ კარიერას. მხოლოდ ერთი წელი დასჭირდა, რომ მსოფლიოს საუკეთესო ტანმოვარჯიშეთა რიგებში აღმოჩენილიყო და... საკუთარი ნებით აპირებს მის დატოვებას. უცნაურია—ნუთუ მართლა თორმეტ, უკეთეს შემთხვევაში ოცდაოთხ თვეს (თუკი იგი იასპარეზებს გაისად ხმელთაშუა ზღვის თამაშებზე და მსოფლიო ჩემპიონატზე) „მოიზომავს“ ელისო საკუთარი სპორტული დიდებისათვის?

ლევან ჯავახიშვილი

დავფიქრდეთ, ვიმსჯელოთ და შემდეგ გადავწყვიტოთ

მხოლოდ ცუნდრუკნი დაიწყებენ უთათბირო ომს

დავით IV

პირადად მე ილიას, ვაჟას და კონსტანტინეს იდეებზე აღვიზარდე. ეს იყო მიზეზი, რომ 10 წლით ცომბრისა და კალიმის „აკადემიებში მიმავლინეს“. ასე რომ, ბევრის მნახველსა და გადამტან ხანდაზმულ სპორტსმენს ერის სიყვარულსა და მისი მომავლისათვის ბრძოლას ვერავინ მასწავლის, ვიცი, რომ სპორტი ერის ღირსებისა და სახელის საქმეა, ეს რომ არ მწამდეს, სპორტში ერთ საათსაც არ ვიმუშავებდი. ოცი თუ ოცდაორი წლის უკან რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძესთან მივედი და ვთხოვე დაესვა საკითხი, რომ საქართველო. დამოუკიდებლად გაუშვას მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის მოპოვების შესაძლებლობა. ძალიან დიდ მსხვერპლს ნუ მოვითხოვთ სპორტსმენისგან თუ ამ მსხვერპლის გამართლებაში დარწმუნებული არა ვართ. სპორტსმენი, რომელსაც შეუძლია მსოფლიო ჩემპიონი გახდეს, არა მგონია ცენტრის ჯიბრზე, სახლში ჯდომა ისურვოს. მაგონდება მოკრივეები ძმები ბაბახანიები, რომლებიც საქართველოს ჩემპიონის ტიტულისათვის თავდაუზოგავად ებრძოდნენ ერთმანეთს. ანდა ბრაზილიელ ფეხბურთელს, რომელიც იტალიის კლუბში თამაშობს და ბრაზილიელთა საკლუბო გუნდის კარში ბურთი გააქვს, როგორ, სამშობლო არ უყვარს? ასეთი შემთხვევა რამდენია. ჩემი აზრით, თუ სპორტული ოსტატობის შენარჩუნება და მსოფლიოს სარბიელზე გასვლის შესაძლებლობა ჯერ არ არის, გადაწყვეტილების მიღება, გამოვიდეს თუ არა საკავშირო ნაკრებში, თავად სპორტსმენმა და მისმა მწვრთნელმა უნდა ითავოს, სამართლიანობა ეს იქნება.

ვალერიან შავიშვილი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

რეკორდები სამუდამოდ?

რეკორდები მუდმივი არ არის. ის, რაც დღეს ფანტასტიკურად ითვლება ერთი ადამიანისათვის, ხვალ ბევრისთვის ხელმისაწვდომი ხდება. და მაინც, სპორტული რეკორდების ცხრილში კვლავ შეხვდებით „ხანდაზმულებს“.

მეხიკოს 1968 წლის ოლიმპიური თამაშები საკმაოდ „მოსავლიანი“ გამოდგა მნიშვნელოვანი მიღწევების თვალსაზრისით. მაგალითად, ლი ევანსის რეკორდმა 400 მეტრზე სირბილში ოცი წელი გაძლო. დღემდე ვერავინ გააუმჯობესა ამერიკული ოთხეულის მიღწევა 4X100 მეტრზე ესტაფეტაში. ხოლო ამერიკელი მორბენლების შედეგი 4X400 მეტრზე ესტაფეტაში მხოლოდ სეულის ოლიმპიადაზე გაიმეორეს. და მაინც, მექსიკის ოლიმპიადის მთავარი მოვლენა გახდა ამერიკელი რობერტ ბიმონის მიერ სიგრძეზე ხტომაში დამყარებული რეკორდი. ეს 1968 წლის 18 ოქტომბერს მოხდა. სიმართლე უნდა ითქვას, რომ ამერიკელს არავინ მიიჩნევდა ფავორიტად. იგი გაჭირვებით მოხვდა ფინალურ მონაწილეთა შორის, არც გადამწყვეტ ეტაპზე გამოუჩენია თავი—რამდენიმეჯერ დაბიჯა არეკნის ხაზს. და უცბად, მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნა—ნახტომი 890 სანტიმეტრზე! არსებული მსოფლიო რეკორდი ერთბაშად 55 სანტიმეტრით გაუმჯობესდა. ბიმონის მიღწევა ჟურნალისტებმა „ოცდამეერთე საუკუნეში ნახტომად“ მონათლეს.

მას შემდეგ ოცდაორი წელიწადი გავიდა, მძლეოსნობა შორს წავიდა, მაგრამ ბიმონის რეკორდი შეურყეველია. მხოლოდ ორმა სპორტსმენმა შეძლო ამ რეკორდთან მიახლოება.

1987 წლის მაისში სომეხმა სპორტსმენმა რობერტ ემიანმა მაღალმთიანობის პირობებში ასპარეზობისას შეძლო 886 სანტიმეტრზე გადახტომა და ოთხი სანტიმეტრით ჩამორჩა ბიმონის მიღწევას.

მსოფლიოში შორს გადამხტარი მესამე სპორტსმენი გახლავთ ამერიკელი ათლეტი კარლ ლუისი. ამ სპორტსმენს მეორე ჯერ ოუენსს უწოდებენ. ოლიმპიური თამაშების ექვსგზის ჩემპიონი, მსოფლიოს პირველობების მრავალგზის გამარჯვებული, ერთნაირად ძლიერია როგორც სიგრძეზე ხტომაში, ისე სპრინტში. ჯერ კიდევ 1983 წელს ლუისი 879 სანტიმეტრზე გადახტა და, როგორც ჟურნალისტები ამტკიცებდნენ, საწვრთნელ ვარჯიშებზე სპორტსმენი რეკორდულ ზღვარს ძლევდა. ლოს-ანჯელესის ოლიმპიადაზე ლუისისაგან მოუთმენლად მოელოდნენ რეკორდის დამყარებას. მაგრამ, ათლეტი რისკზე არ წავიდა და პირველი წარმატებული ნახტომის შემდეგ უარი თქვა დანარჩენ ხტომებზე. მას შემდეგ, ყოველი სეზონის დასაწყისში ლუისი ბიმონის რეკორდის დამხობით იმუქრება, მაგრამ უშედეგოდ.

ცხადია, ბიმონის რეკორდი უნიკალურია თავისი ხანდაზმულობით, მაგრამ მსოფლიო რეკორდების გრძელ სიაში სხვა „ვეტერანებიც“ საკმაოდ მოიძებნებიან. იტალიელმა პიეტრო მენეამ 200 მეტრზე სირბილში 1979 წელს დაამყარა რეკორდი. ახლახან, ამერიკელმა ლერ ბარელმა ტეხასში გამართულ შეჯიბრებაში 19,61 წამი აჩვენა. მაგრამ, ქარის სიჩქარე გარბენის დროს დასაშვებ ნორმას აღემატებოდა. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მენეას რეკორდი ძალაში დარჩა.

არსებობს სხვა „წვეროსანი“ მიღწევებიც. მათ მიეკუთვნება ინგლისელ სებასტიან კოუს მიერ 1981 წელს 800 მეტრზე სირბილში დამყარებული რეკორდი (1.41,73). ცხრა წლისაა ამერიკელი სპორტსმენი ქალის მერი მიგერის რეკორდები ბატერფლაის სტილით 100 და 200 მეტრზე ცურვაში (57,93 და 2.05,96).

სპორტი მუდმივი მოძრაობა და ახალი მიღწევებისაკენ სწრაფვაა. ათლეტები გამუდმებით უტევენ უმაღლეს მიღწევებს, ამხობენ და მომავალ ვარსკვლავებს სამოქმედო მიზნად, სურვილად უტოვებენ. და უმჯობესდებიან რეკორდები, თითო-ოროლას გარდა. თუმცა, არც ის „ხანდაზმულები“ დარჩებიან „უკვდავებად“. ის, რისი გაკეთებაც დღეს ვერ მოხერხდა, ხვალ აუცილებლად გაცხადდება. მსოფლიო რეკორდები გზის გამკვალავი ვარსკვლავების დარად ქვეშეცნეულად იზიდავენ სპორტსმენებს.

ოამზადა **ბელა ჯიღაურმა**

ძალოსნობა ახალ მიჯნასთან

როცა საქართველოს სპორტსახკომში მოვიდა მოწვევა იტალიიდან, რომლის თანახმადაც, საქართველოს ძალოსანთა ნაკრებს საერთაშორისო ტურნირში იწვევდნენ, ძალოსნობის სპეციალისტები, ცოტა არ იყოს, სკეპტიკურად შეხვდნენ ამ ცნობას, მით უფრო, ამ მოწვევის რეალობას — ჩვენი გუნდის იტალიაში გამგზავრებას. უკანასკნელ ხანს არცთუ ხშირია ჩვენი ძალოსნების ვიზიტები დიდ საერთაშორისო შეჯიბ-

იური ქართველიშვილი

რებებში, ახლა საქართველოს დამოუკიდებელი გუნდით იწვევდნენ ტურნირის ორგანიზატორები და ამის განხორციელება, მოგეხსენებათ, უამრავ ფინანსურ და ორგანიზაციულ პრობლემას ბადებს. მაგრამ, საბედნიეროდ, ყველა საკითხი მოგვარდა — 6 ქართველი ათლეტი გაემგზავრა საერთაშორისო ტურნირზე, რომელსაც „სიცილიის თასი“ ეწოდება და საუკეთესო გუნდისთვის განკუთვნილი პრიზიც ჩამოიტანა სამშობლოში.

ეს ინფორმაცია საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა **იური ქართველიშვილმა** მოგვაწოდა. ვფიქრობდით, მხოლოდ ამ ტურნირის შესახებ გვესაუბრა, მაგრამ ძალოსნებს თურმე იმდენი პრობლემა დაჰგროვებიათ, იმდენი საქმე ითხოვს სასწრაფოდ ხელის მიშველებას, რომ საუბარი საკმაოდ გაგვიგრძელდა. ჩვენთან დიალოგი იური ქართველიშვილმა „იტალიური გამარჯვების“ მოგონებით დაიწყო.

— იტალიაში საქართველოს 6 ძალოსანი ასპარეზობდა: ბიძინა მიქიაშვილი (ამბროლაური, 75 კგ), იოსებ კოჩიევი (ცხინვალი, 90), მუხრან გოგია (ზუგდიდი, 100), ალექსანდრე ბედოევი (ცხინვალი, 100), გია ჩუბინიძე (საჩხერე, 110), კობა ტალახაძე (საჩხერე, ზემიძე წონა). გუნდის მწვრთნელია საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი შოთა წერეთელი, რომელიც სულ ახლახან ჩაუდგა ნაკრებს სათავეში. უჩვეულო მონდომება გამოიჩინეს ჩვენმა ჭაბუკებმა, კალტარი-სტატ ფიცარნაგზე ტოლი არ დაუდეს ბულგარეთის, რუმინეთის, პოლონეთის, უკრაინის და მასპინძელთა გამოცდილ სპორტსმენებს და უძლიერესის სახელი მოიპოვეს. პირად პირველობაში გამარჯვება კობა ტალახაძეს, გია ჩუბინიძეს, ალექსანდრე მედოევს და ბიძინა მიქიაშვილს ხვდათ, ხოლო მუხრან გოგია და იოსებ კოჩიევი მეორენი იყვნენ. სხვათა შორის, ბ. მიქიაშვილი ტურნირის საუკეთესო ძალოსნად დაასახელეს, რაც თავისთავად დიდი აღიარებაა, მით უმეტეს, რომ ჩვენი ნაკრები დამოუკიდებლად მონაწილეობდა ამ შეჯიბრებაში. თუმცა არ იქნებოდა ეს გამარჯვება და, საერთოდ, ვერც ჩავაღწევდით სიცილიაში, სხვადასხვა ორგანიზაციები რომ არ დაგვხმარებოდნენ. სპორტულის გარდა, რომელნიც ასე თუ ისე, ვალდებულნი იყვნენ ხელი შეეწყოთ ჩვენთვის ამ ტურნეს განხორციელებაში, მინდა გამოვყო ყველა ის ორგანიზაცია-დაწესებულება, რომლის ხელმძღვანელობამ მართლაც ფასდაუდებელი სამსახური გაგვიწია: განსაკუთრებით რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი გ. ქაშაკაშვილი, აგრეთვე რუსთავის საკავშირო სამეცნიერო-საპროექტო ინსტიტუტი „ავტომრეწვი“ (გენერალური დირექტორი რ. სიგუა), საწარმოო გაერთიანება „კავკასიონი“ (გენერალური დირექტორი ჯ. გოგავა), გაერთიანება „ანალიზხელსაწყოს“ სათაო ქარხანა — „თბილხელსაწყო“ (დირექტორი — თ. ბეჟანიშვილი), გაერთიანება „საქავეჯი“ (გენერალური დირექტორი გ. მჭედლიძე), კინოსტუდიის ზოკუმენტური ფილმების ექსპერიმენტული გაერთიანება (დირექტორი — ჭ. ამირეჯიბი), გაერთიანება „საქკოოპტექნიკა“ (დირექტორი — გ. მუსხელიშვილი).

● **მაგრამ საერთაშორისო ტურნირში, თუნდაც არაერთში, გამარჯვება არ არის ის „ალიბი“, რომელიც თვითდამშვიდების უფლებას მოგვცემს. საქართველოში, არა მარტო სპორტი, ცხოვრების ნებისმიერი სფერო სავსეა პრობლემებით და გამონაკლისი ალბათ არც ძალოსნობა იქნება.**

— გეთანხმებით, პრობლემები გვაქვს, თანაც უამრავი. თითოეროლა მაღალი კლასის ძალოსნის იმედად ვერ ვიქნებით, საჭიროა რეგიონებში ავამოქმედოთ რეზერვი, ამას კი კვალიფიციური სპეციალისტები სჭირდება. საჩხერეში, წყალტუბოში, ცხინვალში და ზუგდიდში შედარებით უკეთ არის საქმე, აი, სხვა რაიონების სპორტის მესვეურთ, კერძოდ, რაიონულ სპორტკომიტეტებს, მეტი უყურადღება და ძალისხმევა მართებთ (მაგალითად, აჭარაში), რათა დავიბრუნოთ დაკარგული ტრადიციები. ახლახან საჩხერეში გაიხსნა ოლიმპიური რეზერვის რესპუბლიკური სკოლის ფილიალი, სადაც მარტო ძალოსნობის ჯგუფები მოქმედებს და შედეგმაც არ დააყოვნა — არაერთი საჩხერელი სპორტსმენი იცავს რესპუბლიკის ნაკრები გუნდების ღირსებას. ყველგან რომ ასე იყოს, ბუნებრივია, საქმეც წინ წაიწევდა. აი, ცხინვალშიც ბოლო დროს სასიკეთო ცვლილებებია.

აქვე უნდა აღინიშნოს ბაზების სომცირისა და დაბალხარისხიანობის შესახებ. ფაქტიურად, მხოლოდ თბილისშია ძალოსნობის დარბაზები, სადაც ნორმალურ პირობებში შეიძლება ივარჯიშოს სპორტსმენმა, მაგრამ უკანასკნელ ხანს ამ მიმართებითაც გადაიდგა სასიკეთო ნაბიჯები და, ვფიქრობ, უახლოეს მომავალში მდგომარეობა გამოსწორდება. მაგალითად, წელს თელავში დამთავრდება ძალოსნობის სასახლის მშენებლობა, სადაც ვარჯიშს კი არა, საერთაშორისო ტურნირების გამართვასაც შევძლებთ. ამ საქმეში განსაკუთრებით დიდი დახმარება გაგვიწია თელავის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარემ გივი ბეციაშვილმა, დაგვეხმარა აგრეთვე რაიონის ღვინის ქარხნის დირექტორი გ. ქუმსიაშვილი. მოკლედ, თუ გვეყოლება მაღალკვალიფიციური სპეციალისტები და გვექნება თანამედროვეობის შესატყვისი სპორტული ბაზები, გპირდებით, ქართველ ძალოსანთა წარმატებები გაათკეცდება.

● **როგორც ვიცით, საქართველოს ძალოსნობის ფედერაცია უახლოეს ხანებში საკავშირო ფედერაციის რიგების დატოვებასაც აპირებს, რას გვეტყვით ამის თაობაზე?**

— საკავშირო ფედერაცია, ისე როგორც ყველაფერი საკავშირო, რომ ზღუდავს და ხელს უშლის ყველა რესპუბლიკის სპორტსმენთა საერთაშორისო სარბიელზე გასვლას, ეს ფაქტია. ხელ-ფეხი რომ გავიხსნათ, უფრო მეტმა ქართველმა სპორტსმენმა რომ მიიღოს მონაწილეობა უცხოურ ტურნირებში დამოუკიდებელი გუნდის სახელით, ამ მიზნით ძალოსნობის ყველა რესპუბლიკურ ფედერაციას გავუგზავნეთ მიმართვა, რომელშიც მითითებულია, რომ უმჯობესია დაიშალოს საკავშირო ფედერაცია, შეიქმნას ასოციაცია, რომელიც პარიტეტულ საფუძველზე გააერთიანებს რესპუბლიკის ფედერაციებს და ამასთან, იბრძოლებს, რომ ფედერაციები დამოუკიდებლად გახდნენ ძალოსნობის საერთაშორისო ორგანიზაციების წევრები, ხოლო ასოციაციის პრეზიდიუმი შედგეს რესპუბლიკური ფედერაციების პრეზიდენტებისაგან. სხვათა შორის, ერთ-ერთ საკავშირო შეჯიბრებაზე თან ვახლდი ჩვენს ნაკრებს, იქ შევხვდი და ვესაუბრე თითქმის ყველა რესპუბლიკის ძალოსნობის ფედერაციის ხელმძღვანელებს და მათ უყოყმანოდ დაგვჭირეს მხარი, მათ შორის რსფსრ-ის და უკრაინის ფედერაციების თავმჯდომარეებმაც, თელავში ჩატარდა საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის კონფერენცია, რომელმაც მიიღო თავისი ახალი წესდება. ვნახოთ, ჯერჯერობით საქმეს სასიკეთო პირი უჩანს.



● **ფედერაციის უახლოეს გეგმებზე რას გვეტყვით?**

— უახლოესი და უმთავრესი, რაც ზემოთ მოგახსენეთ, ის არის. ისე, თუ ყველა პრობლემა მოვაგვარეთ, დიდი სურვილი გვაქვს ახლო მომავალში თელავში ჩავატაროთ დიდი საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ხმელთაშუა ზღვის აუზში შემავალი ქვეყნები მიიღებენ მონაწილეობას. ძალოსნობის პროპაგანდისა და პოპულარიზაციის უკეთეს საშუალებას ვერ ინატრებ.

ესაუბრა ლევან ლეონიძე.

სიურპრიზი მარადონასთვის

ფეხბურთის გულშემატკივრებმა იციან, რა აჟიოტაჟი გამოიწვია იტალიის „ნაპოლის“ ჩამოსვლამ მოსკოვში. ეს გასაკვირი არ არის, რადგან იტალიელთა გუნდში გამოდის გამოჩენილი არგენტინელი ფეხბურთელი დიეგო არმანდო მარადონა.

ამ სტრიქონების ავტორი და ფეხბურთის რამდენიმე თაყვანისმცემელი, საგანგებოდ გავემგზავრეთ სოხუმიდან მოსკოს ერთადერთი მიზნით — შევხვედროდით იტალიის „ნაპოლის“ ფეხბურთელებს, მწვთნელებს და, რასაკვირველია, მარადონას. ჩვენთან ერთად გამოემგზავრა სოხუმელი ლინგვისტი ვიქტორ ასატურიანი, რომელმაც, ქართული და სომხური ენის გარდა, შესანიშნავად იცის იტალიური, ესპანური და გერმანული ენები.

ჩვენ მოსკოვში მიგვქონდა ჭაბუკ დიეგო მარადონას პორტრეტი, რომლის ავტორია სოხუმის „ცხუმის“ ფეხბურთელი, 25 წლის მცველი ამოტ კურგენიანი. თვითონ ფეხბურთელმა ვერ მოახერხა წამოსვლა მოსკოვში, რადგან გუნდთან ერთად უმზადებოდა მომავალი შეხვედრებისათვის და გვთხოვა, გადაგვეცა ეს პორტრეტი დიეგო მარადონასთვის. მოსკოვში ჩასვლისას დავუკავშირდით საერთაშორისო ასოციაცია „21-ე საუკუნის“ პრეზიდენტს ანზორ კიკალეიშვილს, რომელიც დიდად დაგვხმარა იტალიელთა გუნდის მიერ მოწყობილ პრესკონფერენციაზე მოხვედრაში. მისი შემწეობით ჩვენ დავესწარით აგრეთვე „ნაპოლის“ დახურულ ვარჯიშს ლუნინკების სტადიონზე. მან და ლუნინკების დიდი სპორტული კომპლექსის გენერალური დირექტორის მოადგილემ ბორის მეგრელიძემ მოგვიხერხეს სპეციალური საშვი, რომელიც საშუალებას გვაძლევდა გვეყურებინა მატჩისთვის სარბენი ბილიკიდან. რატომ? — იკითხავს ზოგიერთი. მხოლოდ მატჩის შემდეგ გვქონდა იმედი, გავსაუბრებოდით მარადონას, რადგან იგი მოსკოვში დაგვიანებით ჩამოვიდა, თანაც უჩვეულო ვითარებაში, სასტუმროშიც არავის უშვებდნენ მასთან. თავად მატჩზეც დიდი დაგვიანებით გამოცხადდა; გუნდთან ერთად არ მოსულა, სპეციალური ავტომანქანით მოიყვანეს. საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მარადონას პორტრეტი ჩვენ გადავეცით იტალიის „ნაპოლის“ მწვრთნელს ბიგონის და გუნდის მენეჯერს სპეციალურ პრეს-კონფერენციაზე, რომელიც იტალიელებმა მოაწყვეს 6 ნოემბერს.

როდესაც იტალიელმა ჟურნალისტებმა გაიგეს, რომ პორტრეტის ავტორი იყო საქართველოს ერთ-ერთი გუნდის ფეხბურთელი, რამდენიმე დამატებითი შეკითხვა დაგვისვეს ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის შესახებ. ნაპოლის ტელევიზიის კომენტატორმა კარლო ალვინომ კი გაიხსენა თბილისის „დინამოს“ და „ნაპოლის“ შეხვედრები. გვითხრა, რომ იტალიელებს ახლაც ახსოვთ ყიფიანის, ჩივაძის, შენგელიას, დარასელიას, გუცაევის და სხვა ფეხბურთელების თამაში. მან და იქვე მდგომმა „ნაპოლის“ ფეხბურთელმა მასიმო მაურომ განაცხადეს, რომ იმედი აქვთ, ახლო მომავალში კიდევ შეხვდებიან საქართველოს საფეხბურთო გუნდებს ევროპის ტურნირებზე.

გაზეთ „ილ მატინოს“ კორესპონდენტმა ტანჩილიომ გვითხრა, რომ მან და კიდევ რამდენიმე იტალიელმა ჟურნალისტმა ფართოდ გააშუქეს იტალიის პრესაში საქართველოს პირველი დამოუკიდებელი ეროვნული ჩემპიონატის დაწყება. მაგრამ ტანჩილიომ აქვე აღნიშნა, რომ მათ, სამწუხაროდ თითქმის არა აქვთ ინფორმაცია ჩემპიონატის მსვლელობაზე და გვთხოვა მიგვეწოდებინა მათთვის ინფორმაცია და ფოტომასალები სპეციალურ საფეხბურთო ჟურნალ — „გუერინოსათვის“, რომელიც ბოლონიაში გამოდის. მათ ისიც გვითხრეს, რომ იტალიაში აფასებენ ქართულ ფეხბურთს, იცნობენ საქართველოს, იციან აგრეთვე იმ ცვლილების თაობაზე, რომლებიც ხდება საქართველოში, იციან უზენაეს საბჭოში არჩევნების პირველი შედეგებიც და წარმატებებს უსურვებენ ქართველერს სანუკვარი მიზნის მიღწევაში.

იტალიელმა ჟურნალისტებმა გვითხრეს, რომ დაგვეხმარებოდნენ მარადონასთან შეხვედრაში, ოღონდ მატჩის შემდეგ, რადგან თამაშამდე მარადონა არავის გაიყარებსო. ასეც მოხდა.

დამატებითი დროისა და პენალტების სერიის შემდეგ ჟურნალისტთა დიდი ჯგუფი (მათ შორის ჩვენც) პირდაპირ მოედანზე და სარბენ ბილიკებზე გავესაუბრეთ მარადონას.

ჩვენ ვკითხეთ, მოეწონა თუ არა მას პორტრეტი. გვითხრა — ძალიან, რადგან გამახსენდა ჩემი სიჭაბუკეო. მან ეუსტით გვაჩვენა, რომ პორტრეტი მართლაც მოეწონა. შემდეგ დასძინა, რომ მისი კარიერის მანძილზე ეს მეორე სიურპრიზი იყო. პირველად — ბუდაპეშტში მას აჩუქეს მისი პატარა ქანდაკება, რომელიც შესრულა უნგრელმა სკულპტორმა. ჩვენს შეკითხვაზე, რა იცის საქართველოზე, ქართულ ფეხბურთზე, ასე გვიპასუხა: „გამიგია, რომ თქვენთან ძალიან ტექნიკურ და ლამაზ ფეხბურთს თამაშობენ“.

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვახერხეთ საუბრის გაგრძელება, რადგან მისმა პირადმა მცველებმა დიეგო გასახდელში გაიყვანეს.

„ნაპოლის“ გამგეობის ერთ-ერთმა წევრმა — ბრუნო ბროლიომ გვითხრა, რომ ეს პორტრეტი შეინახება კლუბის მუზეუმში და გვთხოვა, მადლობა გადაგვეხადა კლუბ „ცხუმისათვის“, პირადად ავტორისათვის და იმ თბილისელი ჟურნალისტებისათვის, ფეხბურთის სპეციალისტებისათვის, „დინამოს“ იმ ფეხბურთელებისათვის, რომლებმაც გულთბილად უმასპინძლეს „ნაპოლის“ 1978 და 1982 წლებში.

თენგიზ პაპკორია.
მოსკოვი.

● **უკვე** მეორე წელია, რაც ჩეხი სპეციალისტი, ევროპის 1962 წლის საუკეთესო ფეხბურთელი იოზეფ მასოპუსტი ინდონეზიის ოლიმპიურ ნაკრებს ავარჯიშებს. ახლა მისი რეკომენდაციით ოთხი საუკეთესო მოთამაშე ჩეხოსლოვაკიის კლუბებში ჩაირიცხა. სტოპერი ნილი და ნახევარმცველი იუვონი პრაღის „სპარტამ“ მიიწვია, თავდამსხმელები როში და ჰერიანი კი... „დუკლამ“.

● **სალიბის** „ჰაიდუკმა“ წლევანდელი ჩემპიონატი ძალზე სუსტად დაიწყო. პირველი ცხრა ტურის შემდეგ გუნდს მხოლოდ სამი ქულა ჰქონდა. ასეთ ვითარებაში ხელმძღვანელობამ დაითხოვა უფროსი მწვრთნელი ლუკა პერუზოვიჩი და მის პოსტზე იოსიპ სკობლარი მიიწვია. სკობლარის პირველი ნაბიჯი იყო აშშ-ის ნაკრების მცველის დესმონდ არმსტრონგის ყიდვა.

● **არგენტინის** ნაკრების ნახევარმცველი გაბრიელ კალდერონი, რომელიც სულ ახლახან პელეს გამოსათხოვარ მატჩზე მონაწილეობდა, გამოეთხოვა საფრანგეთის I დივიზიონს და შვეიცარიაში გადავიდა. აქ იგი „სიონის“ შემადგენლობაში ჩაირიცხა და შეუერთდა თავის თანამემამულეს, 1986 წლის მსოფლიო ჩემპიონს ნესტორ კლაუსენს. ამავე კლუბში მოთამაშე ჩილელი ხაიმე რამირესი კი დაბრუნდა სამშობლოში. ადგილობრივ ჟურნალისტთა აზრით, ფეხბურთელს რაღაც სერიოზული დაავადება აღმოაჩნდა. რამირესის ადგილი დაიკავა უნგრეთის „ფერენცვაროშის“ 17 წლის თავდამსხმელმა ოტო ვინჩემ.

● **მას შემდეგ,** რაც დორტმუნდის „ბორუსიამ“ შეიძინა დანიელი ფორვარდი პოულსენი და საბჭოთა მცველი გორლუკოვიჩი, გუნდში აღარ დარჩა ადგილი შოტლანდიელი მურდო მაკლეოდისთვის. ამ ვითარებით ისარგებლა ედინბურგის „ჰიბერნიანმა“, რომელმაც მაკლეოდთან 3 წლიანი კონტრაქტი გააფორმა. მაკლეოდი შეასრულებს მოთამაშე მწვრთნელის ფუნქციებს და 700 ათას სტერლინგს მიიღებს.

● **შვეიცარიის** ჩემპიონატის ბოლო წლების უცვლელი ლიდერი, ნეშატელის „ჭსამაქსი“ წლეულს უთანაბროდ თამაშობს, გუნდს თან სდევს მოწინავე ფეხბურთელთა მუდმივი ტრავმები. ამის გამო ვერა და ვერ დადგინდა ოპტიმალური შემადგენლობა. პრობლემების გადაჭყვეტად დაიწყო ახალ მოთამაშეთა ძებნა და სულ მალე შეისყიდეს ეგვიპტის ნაკრების ფეხბურთელი, წლევანდელი მსოფლიო ჩემპიონატის მონაწილე ჰანი რამზი.

(ბაკ. ინშ.).

საქართველოს XXIII ჩემპიონატი რაგბიში

ავდარმა უფრო არია...

კვირას მეტად პრინციპული მატჩი გაიმართა ქუთაისში, სადაც „გელათმა“ მიიღო თბილისის „აკადემია“. შეხვედრა მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა და მათივე გამარჯვებით დასრულდა — 19:4.

კვირასვე თბილისში უნდა გამართულიყო უძლიერესთა ჯგუფის ორი მატჩიც. უნდა გამართულიყო, მაგრამ.. ჯერ იყო და „ასოციაციამ“ გუნდი ვერ შეკრიბა (?!), „აიას“ რომ შეხვედროდა, შემდეგ კი ხუთი დღის განმავლობაში გადაუღებელი წვიმის გამო ვაკის სტადიონის მოედანი ისე დაიტბორა, რომ თამაში შეუძლებელი გახდა, რის გამოც აღარც „ელმავალ“-„მიმინოს“ თამაში გამართულა. ერთი კია: „ასოციაციამ“ იმარჯვა და „აიას“ დროულად აცნობა, „ნუ ჩამოხვალთო“.

ერთი სიტყვით, ავდარმა კიდევ უფრო არია ჩემპიონატის ისედაც აწეწილი კალენდარი. სარაგბო მოედნების ნაკლებობისა და ზოგიერთი კურიოზული სუბიექტური მიზეზის გამო, მესამედ (!) შეიცვალა პირველობის გადამწყვეტი თამაშების გამართვის განრიგი.

მაშ ასე, ახალთახალი მონაცემებით, „ელმავალი“ „აიას“ 14 ნოემბერს, 14 საათსა და 30 წუთზე უმასპინძლებს, „მიმინოს“ — 17 ნოემბერს (იმავე დროს), ჩემპიონატის „მცირე“ ფინალი (შეხვედრა მესამე ადგილისათვის) 20 ნოემბერს გაიმართება და 14 საათზე დაიწყება, „დიდი“ ფინალი კი (პირველობისათვის) — ოთხშაბათს (მთავარი თამაში და ისიც სადაგ დღეს?!), 21 ნოემბრისთვისაა (14 საათი) დანიშნული. თუ უძლიერესთა ჯგუფში პირველ ადგილს „ელმავალი“ დაიკავებს — საქმეს კი აშკარად ასეთი პირი უჩანს, მაშინ ფინალური შეხვედრა ყოველ მეზეზ გარეშე და ყოველგვარ ამინდში თბილისში, ვაკის სტადიონზე გაიმართება და დათქმულ დროს დაიწყება.

აი, რაც შეეხება ფინალამდე გასამართ სამ თამაშს, თუკი უმალ არ გამოიდარა და მზემ და ქარმა ვაკის სტადიონის მოედანზე დამდგარი გუბეები არ აშრო, „ელმავალსა“ და „მიმინოს“ სამაგიერო მოედნის საშოვნელად კარდაკარ სიარული მოუწევთ. ასე რომ, რაგბის იმ გულშემატკივრებს, ვისაც ამ შეხვედრათა ხილვა სურთ, ეტყობა, გვარიანი მარიფათის გამოჩენა მოუხდებათ, თამაშთა გამართვის ადგილი დროულად რომ შეიტყონ... ჩვენც, ჩვენის მხრივ ვეცდებით, მკითხველს მოლოდინი არ გავუცრუოთ და შესაბამისი სტადიონიც სწორად მივასწავლოთ.

დასასრულ იმასაც დავძენთ, რომ, მართალია, სათამაშო მოედნების გამონახვა გვიჭირს, მაგრამ სათათბირო კაბინეტები მრავლადა გვაქვს. თამაშებისგან განსხვავებით, თათბირთა გამართვის ადგილისა და დაწყების დროის გამოცხადებაც ზუსტად შეგვიძლია. აი, ახლაც, 14 ნოემბერს, 18 საათზე, საქართველოს სპორტსახკომში გაიმართება ჩემპიონატის მონაწილე გუნდების წარმომადგენელთა შეკრება, რომელზეც, წესითა და რიგით, კიდევ ოთხი ჩაშლილი თამაშის ამბავი კიდევ ერთხელ (უკვე მერამდენედ!) უნდა გაირჩეს. იმედია, ქართული რაგბის თავკაცნი ამჯერად მაინც გამოავლენენ წესრიგის ერთგულებას, დამრღვევებს საკადრისს მიუზღავენ და არაერთგზის გადადებულ, მაგრამ ვერა და ვერ გამართულ თამაშებს... საგანგებოდ აღარ გადაიტანენ.

ზაალ გიგინეიშვილი

მაინც ვერაფერი გაანყვეს

საფრანგეთში რვამატჩიანი ტურნე დაამთავრა მსოფლიო ჩემპიონმა, ახალი ზელანდიის ეროვნულმა ნაკრებმა „ოლ ბლექსმა“. სტუმრებმა ექვსი თამაში მოიგეს, ორში კი — დამარცხდნენ.

ტურნეს ბოლო ორი შეხვედრა „ოლ ბლექსმა“ გასულ კვირას გამართა. შუა კვირაში, ქალაქ ლაროშელში, ახალზელანდიელებმა დასავლეთ საფრანგეთის ნაკრებს სათადარიგო შემადგენლობა შეახვედრეს, მაგრამ მაინც გაიმარჯვეს — 22:15. აი, შაბათს კი სტუმრებმა პარიზში, „პარკ დე პრენსის“ სტადიონზე, მასპინძელთა წინააღმდეგ მეორე ტესტი გამართეს. ამ თამაშისათვის ფრანგების ახალმა მწვრთნელებმა— დანიელ დიუბროკამ და სერჟ ბლანკომ (ბლანკო თავადაც თამაშობს და ნაკრების კაპიტანიცაა), ერთი კვირის წინ ნანტში წაგებულ თამაშთან შედარებით გუნდში რვა კაცი შეცვალეს, მაგრამ მაინც ვერაფერი გაანყვეს „ოლ ბლექსის“ მორკინალებთან, რომელთა თავდადებულმა და ძალისმიერმა თამაშმა განაპირობა კიდეც მასპინძელთა ახალი მარცხი.

ახალზელანდიელები მთელი თამაში უტევდნენ, ფრანგები — თავს იცავდნენ. მასპინძლებს ლელოს გატანის შანსი თითქმის არ მისცემიათ. მათ ქულები ოდენ დიდი კამბერაბეროს ზუსტი დარტყმებით მოაგროვეს: ამ დღეს ფრანგების გარე ნახევარმცველმა სამი საჯარიმო და ერთი არეკნი შეაგდო. მაგრამ ამ 12-მა ქულამ თამაშის „გასაყაიმებლადაც“ ვერ იკმარა, რაკიღა კამბერაბეროს უშუალო მეტოქემ — გრანთ ფოქსმა ექვსიდან ექვსი საჯარიმო გაიტანა; ამასთან, მცველ ჭრაულისა და ფრთის მორკინალ მ. ჯოუნზის მიერ გატანილი ორი ლელოც გარდასახა. ახალი ზელანდიის გუნდმა გაიმარჯვა — 30:12 (15:6).

ბრიტანეთში სტუმრად მყოფი არგენტინელი „პუმეები“ ირლანდიასა და ინგლისის მოკლოს შემდეგ შოტლანდიასაც ეწვივნენ და ედინბურგის გარეუბან ჯარიფილდში მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებთან დაამარცხეს — 3:49. გამარჯვებულებმა ცხრა ლელო გაიტანეს, რითაც აჯობეს კიდეც ერთი კვირით ადრე „პუმების“ მძლეველ ინგლისის გუნდს. თუმცა, უფრო ზუსტი დარტყმების წყალობით, ინგლისის ნაკრებმა არგენტინელებს მაშინ მეტი სხვაობით — მთელი 51 ქულით მოუგო.

ტურნეს დასასრულ „პუმები“ უელსსაც ესტუმრებიან და შაბათს კარდიფში ეთამაშებიან „ბარბაროსებს“, რომელთათვისაც ეს სეზონი საიუბილეო — მეასეა.

(სპ. ინფ.)



ივან ლენდლი

ყველაფერი ჩოგბურთზე

● **ბრიტანეთის** ჩოგბურთის ასოციაციამ ქალთა ნაკრების მთავარ მწვრთნელად მიიწვია ცნობილი საბჭოთა სპეციალისტი, საფრანგეთის ღია პირველობისა და უიმბლდონის 1974 წლის ტურნირების ფინალისტი ოლგა მოროზოვა. მანამდე იგი ავარჯიშებდა საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელ ქალთა ნაკრებს. მოროზოვა ინგლისში გაემგზავრება თავის ქალიშვილთან, 12 წლის კატერინასთან ერთად, რომელიც ასევე პერსპექტიულ ჩოგბურთელად ითვლება.

● **იმ 30 ჩოგბურთელ** ქალს, რომლებმაც პროფესიულ სარბიელზე მილიონ დოლარზე მეტი დააგროვეს, კიდევ ოთხი სპორტსმენი შეუერთდა; არანტა სანჩესი (ესპანეთი), ნატალია ზვერევა (სსრკ), იანა ნოვოტნა (ჩეხოსლოვაკია) და მონიკა სელეში (იუგოსლავია). უნდა აღინიშნოს, რომ სელეში „მილიონერთა კლუბის“ ყველაზე ახალგაზრდა წევრია.

● **სამი** ჩოგბურთელი უკვე დათანხმდა მიუნხენის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობაზე, რომელიც 10-16 დეკემბერს ჩატარდება (ეს შეჯიბრება 1990 წლიდან „დიდი მუზარადის“ სერიაშია შეტანილი). ესენი არიან: ჩეხოსლოვაკიელი ივან ლენდლი, ავსტრიელი თომას მუსტერი და ამერიკელი დევიდ ვეტონი. ტურნირი, მისი ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, საზეიმო სანახაობით დაიწყება, რომელსაც გახსნის ცნობილი იტალიელი ტენორი პლაჩიდო დომინგო ამ შემთხვევისთვის სპეციალურად დაწერილი არიით.

● **ანდრე** აგასიმ ოფიციალურად დაადასტურა თავისი გადაწყვეტილება, მონაწილეობა მიიღოს ავსტრალიის ღია ჩემპიონატში, რომელიც 1991 წლის 14-27 იანვარს ჩატარდება. საინტერესოა, რომ ამერიკელი ჩოგბურთელი პირველად გამოვა მწვანე კონტინენტზე.

● **სულ მალე** აშშ-ში მოეწყობა ტანსაცმლის მოდელების კონკურსი-გამოფენა, რომლის ორგანიზატორი გახლავთ ცნობილი ჩოგბურთელი ქალი მარტინა ნავრატილოვა. გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება მოდური სპორტული ტანსაცმელიც.

● **ჯიმი** კონორსსა და მის ძმას გადაწყვეტილი აქვთ ააგონ გემი-ჯაზინო, რომელიც თავის სალონებსა და კაიუტებში აზარტული თამაშების ორიათას ხუთასამდე მოყვარულს დაიტევს. გემის მშენებლობის ღირებულება 4 მილიონ დოლარს გადაამეტებს.

● **სულ მალე** არგენტინელ გაბრიელა საბატინის გადაიღებენ ერთ-ერთ სატელევიზიო ფილმში, რომელსაც შემდეგ უჩვენებს მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი სატელევიზიო არხი.

● **უიმბლდონის** ტურნირის ორგანიზატორებმა ახალი სანქციები შემოიღეს ბილეთების სპეკულაციური ფასებით მოვაჭრეთათვის. აქამდე დამნაშავე მხოლოდ ჯარიმას იხდიდა, ახლა კი მას ხანგრძლივი პატიმრობა ემუქრება.

● **პარადოქსია**, რომ 19 წლის ამერიკელ მერი-ჯო ფერნანდესს, რომელიც მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს ჩოგბურთელად ითვლება, ჯერ არც ერთი საერთაშორისო ტურნირი არ მოუგია. და აი, ამერიკელმა ბოლოს და ბოლოს გატეხა ნავსი — გაიმარჯვა ტოკიოს ტურნირში. საინტერესოა, რომ წლის დასაწყისში ფერნანდესმა იმავე ტოკიოში საკმაოდ მძიმე ტრავმა მიიღო.

(სპ. ინფ.)

სტეფან ედბერგი



ბ. ბეკერი და ჯ. მაკინროუ

ვინ ვისთან და როგორ?

გულშემატკივრებს უსათუოდ აინტერესებთ, როგორი შედეგები აქვთ ურთიერთშეხვედრებში მსოფლიოს უძლიერეს ჩოგბურთელ ვაჟებს.

ედბერგი (შვეცია) — ბეკერი (გფრ) 10:15, ედბერგი — ლენდლი (ჩეხოსლოვაკია) 7:10, ედბერგი — სამპრასი (აშშ) 1:0, ედბერგი — მუსტერი (ავსტრია) 2:1, ედბერგი — ივანიშევიჩი (იუგოსლავია) 2:0, ედბერგი — მაკინროუ (აშშ) 4:2, ედბერგი — ჩანგი (აშშ) 5:2.

ბეკერი — ლენდლი 8:8, ბეკერი — სამპრასი 0:0, ბეკერი — მუსტერი 1:0, ბეკერი — ივანიშევიჩი 1:1, ბეკერი — მაკინროუ 6:1, ბეკერი — ჩანგი 0:0.

ლენდლი — სამპრასი 1:1, ლენდლი — მუსტერი 2:0, ლენდლი — ივანიშევიჩი 2:0, ლენდლი — მაკინროუ 19:15, ლენდლი — ჩანგი 1:1.

სამპრასი — მუსტერი 1:0, სამპრასი — ივანიშევიჩი 0:1, სამპრასი — მაკინროუ 2:0, სამპრასი — ჩანგი 0:5, მაკინროუ — ჩანგი 4:0.

საინტერესოა, გავიხსენოთ ამ კლასიფიკაციაში ჩართულ ჩოგბურთელთა რეიტინგები: სტეფან ედბერგი — №1, ბორის ბეკერი — № 2, ივან ლენდლი—№ 3, პიტ სამპრასი—№ 6, გორან ივანიშევიჩი— № 11, ჯონ მაკინროუ—№ 9, მაიკლ ჩანგი — № 16.

(სპ. ინფ.)

„სპორტპროგნოზი“

ფეხბურთში ევროპის საკლუბო ტურნირების საპასუხო მატჩებზე შედგენილი „C-12“ სპეციალური ტირაჟის შედეგები

(6—8 ნოემბერი)

1—X, 2—X, 3—1, 4—2, 5—X, 6—1, 7—1, 8—1, 9—1, 10—1, 11—1, 12—2, 13—1.

შენიშვნა: პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

• • •

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1990 წლის 44-ე ტირაჟის შედეგები.

ტირაჟში დაშვებულია 2.400.429 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (316) მოგება 113 მანეთია, 12 შედეგის გამოცნობისთვის (6.589) — 10 მანეთი, 11 შედეგის გამოცნობისთვის (52.965) — 4 მანეთი.

საქართველოში: დაშვებულია 103.521 ვარიანტი. 13—10, 12—185, 11 — 1.482.

44-ე ტირაჟის მოგებები გაიცემა 1990 წლის 24 ნოემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით.

„სპორტლოტო“

გაერთიანება „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტლოტოს“ 1990 წლის 44-ე ტირაჟების შედეგები.

„სპორტლოტო 6 45“-დან: ტირაჟში დაშვებულია 1.443.589 ვარიანტი. 6 ნომერი არავის გამოუცვნია. 5 ნომრის გამოცნობისთვის (61) მოგება 880 მანეთია, ოთხისთვის (1.252) — 28, სამისთვის (33.260) — 3.

საქართველოში: დაშვებულია 40.539 ვარიანტი. 6—0, 5—2, 4—49, 3—850.

„სპორტლოტო 5 36“-დან: ტირაჟში დაშვებულია 15.090.766 ვარიანტი. 5 ნომრის გამოცნობისთვის (31) მოგება 10.000 მანეთია, ოთხისთვის (7.012) — 100, სამისთვის (208.322) — 6.

საქართველოში: დაშვებულია 360.078 ვარიანტი. 5—0, 4—148, 3—5. 115.

44-ე და 35—44 ტირაჟებში მონაწილე 10 ტირაჟიანი ბილეთების მოგებები გაიცემა 1990 წლის 24 ნოემბრიდან 24 დეკემბრის ჩათვლით.

„ლელოს“ შემდეგი ნომერი გამოვა ხუთშაბათს, 15 ნოემბერს.

რედაქტორი
თენგიზ გაჩეჩილაძე

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა გ. ბურდული, კორექტორები მ. ძეძამიძე და ც. ჩიტიშვილი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380000, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 98-97-55, სამდივანი — 98-97-52, ინფორმაციის განყოფილება — 98-97-54, „მერანი“ — 98-97-20, „მართვე“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი: 60455

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. 14, ობიექტი ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20